# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 4

„30“ იანვარი 2026 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, $118^{1}$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.005.009.02.003) *არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე*“ *ქალაქ* თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის №26.115.121 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი №5ა-ში პირველ სართულზე არსებული ბინა №3-ის ფართით 61.08 კვ.მ. (საკადასტრო №01.12.07.005.009.02.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ნანა კირკიტაძისთვის (პ/ნ. 41001019112) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ზურაბ აბაშიძე